განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკაში

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი და
ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
28 მაისი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი<br>ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211359448<br><br>211325653 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტები |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკაში |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფიზიკის დოქტორი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 40 (სასწავლო კომპონენტი) |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რევაზ შანიძე<br>(თსუ, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზაზა მელიქიშვილი<br>(სტუ, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლაშა ლალიაშვილი<br>(თსუ, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკაში შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო პროგრამას წარმოადგენს, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სწავლების ენა პროგრამაზე ქართულია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფიზიკის დოქტორი. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა შედგებილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ბაზაზე, რომელსაც აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის N18 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა ანიჭებდა სამ კვალიფიკაციას: ბიოლოგიის დოქტორი, ქიმიის დოქტორი და ფიზიკის დოქტორი. კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შემდეგ, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღარ არიან უფლებამოსილი, რომ მიანიჭონ სადოქტორო პროგრამაზე 1-ზე მეტი კვალიფიკაცია, თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების მიერ რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილ იქნა დამოუკიდებელი სადოქტორო პროგრამა ფიზიკაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, რომლებიც კახა ბენდუქიძის კამპუსში არიან განლაგებული, შედგა 2020 წლის 28 მაისს. აკრედიტაციის ჯგუფის შეხვედრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და მოწვეულ პერსონალთან წინაწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ჩატარდა. ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს კარგი სამუშაო პირობები, რომლითაც ისინი უზრუნველყო უნივერსიტეტების ხელმძღვანელობამ. კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ვიზიტზეც იმოქმედა - გასაუბრების ოთახში შეზღუდული იყო დამსწრეთა რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში გასაუბრება ინტერნეტის საშუალებით ტარდებოდა. აკრედიტაციის ჯგუფის წევრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ უნივერსიტეტების ლაბორატორიებს და ფიზიკის სადოქტორო პროგრამის სხვა დამხმარე ობიექტებს. ჯგუფის წევრებმა დამაკმაყოფილებელი პასუხები მიიღეს მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე. ვიზიტმა უდავოდ შეუწყო ხელი აკრედიტაციის ჯგუფის შეფასების ჩამოყალიბებას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკაში, თავისი მიზნებით, სწავლების და კვლევების ორგანიზაციით შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკაში ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტის შესაბამისად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ფიზიკის მიმართულების სტუდენტების დაბალი რიცხვი საქართველოს უნივერსიტეტებში ზღუდავს პროგრამაზე სწავლის მსურველთა კანდიდატებს. თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების პროფესორების და მეცნიერების მაღალი კვალიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა ამ პროგრამას საერთაშორისო (ინგლისურენოვანი) პროგრამა დაემატოს.

- პროგრამის სასწავლო კომპონენტში დაემატოს დოქტორანტის საკვლევი მიმართულების სავალდებულო-არჩევითი საგანი (ერთი მაინც).

-სასურველია დოქტორანტებმა დისერტაციის დაცვამდე გამოაქვეყნონ საკვლევ თემასთან დაკავშირებული ორი სტატია მაინც, აქედან ერთი მაინც საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკაში, სრულად შეესაბამება ამ უნივერსიტეტების მისიას, სტრატეგიასა და გეგმას. მისიის მიხედვით, უნივერსიტეტებს საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო შექმნა აქვთ დასახული საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონეზე. სწავლებისა და სწავლის უზრუნველყოფა ქართულ ენაზე, ხელს უწყობს ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის განვითარებას. ასეთი მიდგომა, უდავოდ შეიცავს სამეცნიერო დარგისა და ქართული საზოგადოების განვითარების წინაპირობებს.<br><br>სადოქტოროსაგანმანთლებლო პროგრამა საუნივერსიტეტოს სწავლების უკანასკნელ, მესამე საფეხურს მიეკუთვნება. ამ ეტაპზე სტუდენტები ერთვებიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და კვლევების დასასრულს ამზადებენ სადოქტორო ნაშრომს, რომლის საჯარო დაცვის შედეგად მათ ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი ენიჭებათ. საუნივერსიტეტო სწავლების ამ ეტაპის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობაა მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურო და სამეცნიერო პერსონალის არსებობა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა, თავისი მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალით სრულად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ახალგაზრდა მკვლევარების არსებობა უნივერსიტეტში, დოქტორანტების სახით, ხელს უწყობს საკვლევი გარემოს გაუმჯობესებას და კვლევების არეალის გაფართოებას. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოსიმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ფიზიკის მიმართულების სტუდენტების დაბალი რიცხვი საქართველოს უნივერსიტეტებში ზღუდავს პროგრამაზე სწავლის მსურველთა კანდიდატებს. თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების პროფესორების და მეცნიერების მაღალი კვალიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა ამ პროგრამას საერთაშორისო (ინგლისურენოვანი) პროგრამა დაემატოს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფიზიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამა, რომელიც ძირითადად თეორიულ ფიზიკაზეა გათვლილი, იძლევა ამ მიმართულების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას. დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თეორიული ფიზიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგებში აკადემიურ და საკვლევ საქმიანობას, როგორიც არის, მაგალითად, ველის კვანტური თეორია, კონფორმული ველის თეორია, სიმის თეორია, რელატივისტური კვანტური თეორია, თანამედროვე ასტროფიზიკა,

| |
|---|
| არაწრფივი მოვლენების ფიზიკა, რელატივისტური პლაზმის თეორია, მათემატიკური ფიზიკა.<br>პროგრამის დასრულების შემდეგ, ფიზიკის დოქტორი შეძლებს სამეცნიერო კვლევების მენეჯმენტს, რაც გულიხმობს კვლევის დაგეგმვას, პროექტების მომზადებას საგრანტო კონკურსებისთვის და სხვა. პროგრამაზე მიღებული გამოცდილება საშუალებას მისცემს ფიზიკის დოქტორს ჩაერთოს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობაში, რაც გულისხმობს სამეცნიერო შეხვედრებზე და ფორუმებზე თავისი კვლევის შედეგების წარდგენას, თემატურ პილემიკას და საერთაშორის საკვლევ პროექტებში მონაწილეობას.<br>პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტები იყენებენ მეთოდს, რომლებიც ეფუძნება პირდაპირ და არაპირდაპირ გაზომვებს. ეს მეთოდები გულისხმობენ უკუკავშირის სხვადასხვა საშუალებებს და ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმებს - მათ შორის კომპეტენციების რუკას, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდი მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი საგნების სილაბუსებში.<br>პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სადოქტორო საფეხურთან, გაზომვადი და მიღწევადია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>ინტერვიუს შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და წარმოდგენილი დოკუმენტები (სილაბუსები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

| |
|---|
| ფიზიკის სადოქტორო საგანმათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც აქვთ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. აღსანიშნავია, რომ დაშვების პირობები არ მოითხოვს ფიზიკის მაგისტრის ხარისხს, რაც ზრდის პროგრამით დაინტერესებულ მაგისტრთა რაოდენობას. პროგრამაზე შესაძლებელია მობილობით ჩარიცხვა.<br>პროგრამაში მიღების შესახებ განცხადება ორივე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ცხადდება. განცხადებას ერთვის წარსადგენი დოკუმენტების სია: ავტობიოგრაფია, (CV); პირადობის მოწმობის ასლი; ელექტრონული ფოტოსურათი; მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის (B2) დამადასტურებელი მოწმობა და/ან ცნობა; სამოტივაციო წერილი.<br>მსურველი პირის პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების რექტორების ბრძანებით, ერთობლივი საბუნებისმეტყველო სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სამეცნიერო მიმართულებების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>ინტერვიუს შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები, ვებ-გვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების მიზნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების წარმატებულ მოდელების მიხედვით. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ რექტორი, პრორექტორები, მიმართულების ხელმძღვანელები, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტებში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაში სრულად არის გათვალისწინებული როგორც შიდა (სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება), ასევე გარე (ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები) მარეგულირებელი დოკუმენტები. პროგრამის სტრუქტურა, რომელიც ორი კომპონენტისგან (სასწავლი და საკვლევი) შედგება თანმიმდევრული და ლოგიკურია. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 180 ECTS კრედიტს, აქედან სასწავლო კომპონენტია 40 ECTS კრედიტი, ხოლო საკვლევი კომპონენტი 140 ECTS კრედიტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტის მიხედვით, დოქტორანტურის საგანმანათლებო პროგრამაში განსაზღვრულია მხოლოდ პროგრამის ხანგრძლივობა (არანაკლებ 3 წელი) და სასწავლო კომპონენტების მოცულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60 ECTS კრედიტს. კანონის ახალ რედაქცია არ ითვალისწინებს კრედიტებს საკვლევი კომპონენტისათვის და ბუნებრივია, არც საკვლევი კომპონენტის დაყოფას სხვადასხვა ნაწილებად. ამავდროულად არსებული კანონში (2018 წლის 20 სექტემბრის რედაქცია) საკვლევი კომპონენტზე კრედიტების მინიჭება აკრძალული არ არის. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, იმის მიუხედავად, რომ კანონის ამ ნაწილში მეტი სიცხადეა საჭირო, უპრიანი იქნება უმაღლესმა საგანმანათლებო დაწესებულებამ სადოქტორო საგანმანათლებო პროგრამაში გაითვალისწინოს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტი და პროგრამა ამ პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად ჩამოაყალიბოს.

ფიზიკის დოქტორის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ინტერვიუს შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები, ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკაში ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტის შესაბამისად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა შეადგენს 40 ECTS კრედიტს და მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ სფეროებში დახელოვნებას. სასწავლო კურსის კრედიტები შემდეგნაირად ნაწილდება: აკადემიური წერა (5 ECTS), სადისერტაციო კვლევის მომზადება (5 ECTS), რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (6 ECTS), სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი (5 ECTS), სწავლება უმაღლესი გამათლების სისტემაში (4 ECTS), სადოქტორო სემინარი (3x5 ECTS). თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა აქტუალურია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს.

მიზანშეწონილი იქნება სასწავლო კომპონენტს დაემატოს ერთი ან რამდენიმე დარგობრივი სავალდებულო-არჩევითი საგანი, რაც დოქტრორანტს საშუალებას მისცემს არჩეული მიმართულების კვლევების ახალ მეთოდებს უფრო ღრმად გაეცნოს. ასეთი კურსის დამატება ECTS კრედიტების გადანაწილებას გამოიწვევს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ინტერვიუს შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები (სილაბუსები).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასწავლო კომპონენტს დაემატოს ერთი ან რამდენიმე დარგობრივი სავალდებულო-არჩევითი საგანი, რაც დოქტორანტს საშუალებას მისცემს არჩეული მიმართულების კვლევების ახალ მეთოდებს უფრო ღრმად გაეცნოს. ასეთი კურსის დამატება ECTS კრედიტების გადანაწილებას გამოიწვევს.

| |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია დოქტორან-ტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება და დოქტორანტების ჩართვა კვლევით პროექტებში. ამ მიზანს ემსახურება სასწავლო კომპონენტის კურსები (მაგალითად სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი და სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში). კვლევითი უნარების განვითარება დოქტორანტებს შეუძლიათ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიებში და კვლევით ინსტიტუტებში.<br><br>დოქტორანტის საკვლევი უნარების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მისი ხელმძღვანელი. მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და აკადმიერი პერსონალი, რომელიც ამ პროგრამაშია ჩართული დოქტორანტის უნარების განვითარების კარგ წინაპირობას ქმნის. უნივერსიტეტები ხელს უწყობენ დოქტორანტებს საკვლევი უნარების განვითარებაში, |

ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართვით და სხვადასხვა რანგის კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ინტერვიუს შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები.

**რეკომენდაციები**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში სწავლების სამივე დონეზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებო პროგრამები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. ამის მაგალითს წარმოადგენს უნივერსიტეტებში სტუდენტების დეკანის და სადოქტორო სკოლის არსებობა. უნივერსიტეტებს განსაზღვრულია აქვთ შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები, რომლებიც სწავლების საფეხურსა და კურსის შინაარს შეესაბამება.<br>სწავლების და სწავლის მეთოდები, რომლებიც პროგრამაში გამოიყენება შედგება შე,დეგი კომპონენტებისგან: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, პრაქტიკული და ლაბორატორიული კვლევები, ანალიზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. სადოქტორი პროგრამა, როგორც საუნივერსიტეტი განათლების უკანასკნელი საფეხური, თავისი შინარსით განხავდება საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამებისგან - ამ ეტაპზე ძირითადი აქცენტი სამეცნიერო კველევაზე კეთდება - რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და პროგრამაში ჩართული პროფესორების და მეცნიერების მიერ სწავლების და სწავლის სხვა მეთოდების გამოყენებასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>ინტერვიუს შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები. |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

ფიზიკის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის შედეგების შესაფასებლად თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებს შედგენილი აქვთ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების გაზომვა ამ გეგმის მიხედვით უნდა მოხდეს შესრულების ინდიკატორების მეშვეობით. ეს გეგმა, რომელიც გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია კანონმდებლეობასთან, 2021-2022 სასწავლო წლიდან განხორციელდება.

შეფასების გეგმაში სწავლის შედგები 13 პუნქტად არის დაყოფილი. თითოეული პუნქტში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები. მაგალითად, ამ გეგმის პირველი პუნქტი (სწავლის შედეგი-1) განსაზღვრულია როგორც „თეორიულ ფიზიკაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ისეთ დარგებში როგორიცაა ველის კვანტური თეორია, კონფორმული ველის თეორია, სიმის თეორია, რელატივისტური კვანტური თეორია, თანამედროვე ასტროფიზიკა, არაწრფივი მოვლენების ფიზიკა, რელატივისტური პლაზმის თეორია, მათემატიკური ფიზიკა რაც იძლევა არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას“. ცალკე პუნტი აქვს დათმობილი ეთიკური ნორმების ცოდნას და გაზიარებას (სწავლის შედეგი-12).

სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც პროგრამის ძირითადი დოკუმენტია, ფასდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით. მაქსიმალური - „ფრიადი (summa cum laude)“ , ხოლო მინიმალური - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)“ .

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ინტერვიუს შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები (სწავლის შედეგების შეფასების გეგმა)

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

## 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

